საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 8 22 00453115

21/02/2022

ქალბატონ ანა ჩიხლაძეს
მისამართი: ქ.თბილისი, დ. ყიფიანის 24
ელფოსტა: foi+request-308-79eac57c@askgov.ge

ქალბატონო ანა,

მიმდინარე წლის 14 თებერვლის № 375529 განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი ,,112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს და შემდგომი რეაგირების მიზნით შესაბამის სამსახურებს გადასცემს, გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი რესურსის განსასაზღვრად.

გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

განგიმარტავთ, რომ შესაძლო ყაჩაღობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებები, ერთიანდება ინციდენტის ტიპის ქვეშ: „**ყაჩაღობა**“.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში, 2021 წელს, ინციდენტის ტიპით „**ყაჩაღობა**“ (რაც იმთავითვე არ გულისხმობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით გათვალისწინებულ ყაჩაღობის შემადგენლობას) დარეგისტრირდა **250** შეტყობინება
.

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112" ადმინისტრაცია (სამმართველო)
უფროსი **ლაშა ჩახავა**